ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3951145

ნომერი: AR1594927

თარიღი : 24.04.2018

გაცემის თარიღი : 08.05.2018

გაცნობის თარიღი : 08.05.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფ.დიღომი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოლეგი კორძაია პ/ნ 62003000223
- სოხუმი ს. იაშთხვა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 5 აპრილის №3895860 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 24 აპრილს №AR1594927 განცხადებით მომართა ოლეგ კორძაიამ და მოითხოვა ტექნიკური შეცდომის გასწორება

მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 5 აპრილის №3895860 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, შპს "ენკა 2017 "-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი № 01.72.14.022.238), სასტუმროს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 06 აპრილიდან 2018 წლის 06 აპრილის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ვადა, კერძოდ: ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 06 აპრილიდან 2019 წლის 06 აპრილის ჩათვლით'' ნაცვლად მიეთითა ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 06 აპრილიდან 2018 წლის 06 აპრილის ჩათვლით.''
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2018 წლის 28 მარტის №AR1588719 განცხადებაზე დართული სამუშაოების კალენდარული გრაფიკის მიხედვით, მშენებლობის მოქმედების ვადა 2018 წლის 5 აპრილის №3895860 ბრძანებით უნდა განსაზღვრულიყო 12 თვით, 2018 წლის 06 აპრილიდან 2019 წლის 06 აპრილის ჩათვლით მაგრამ ტექნიკური შეცდომის გამო განისაზღვრა არასწორად.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2018 წლის 5 აპრილის №3895860 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე ოლეგ კორძაიას 2018 წლის 24 აპრილის №AR1594927 განცხადება.
2. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 5 აპრილის №3895860 ბრძანებაში, კერძოდ: ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 06 აპრილიდან 2019 წლის 06 აპრილის ჩათვლით''.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 5 აპრილის №3895860 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.